ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 4/41 კ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 15 ივნისს, ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „Archi DS“ (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით სვანიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და კონკურსანტის წინადადების საფუძველზე.

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი N 543, იმერეთის რეგიონში, იმერეთის რეგიონში, უბისის მონასტრის ტურისტული და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისა და მონასტრის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე (CPV კოდი 71300000), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა კონკურსანტის წინადადება, რომლის თანახმად მიმწიდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: 21 880 (ოცდაერთი ათას რვაას ოთხმოცი) ლარი ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია იმერეთის რეგიონში, იმერეთის რეგიონში, უბისის მონასტრის ტურისტული და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისა და მონასტრის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, რომელიც განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დავალების შესაბამისად, თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების საფუძველზე.

3.2. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 22 ივნისის ჩათვლით.

3.3. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი _ ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები: დავით ტყეშელაშვილი, ირინა საბაშვილი, თინათინ ცისკარიძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მთლიანად ან ეტაპობრივად მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებასსრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.

5.6. თუ შემსყიდველმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

5.5. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" 2012 წლის ბიუჯეტის სახსრებით (საკუთარი შემოსავლებით).

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით;

6.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;

8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია.

8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.4.3. საპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.5 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 6 (ექვს) ეგზემპლარად ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების შესაბამისად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.
8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა
10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები
11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. გარანტია
12.1. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;
12.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.
12.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).
12.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.

13.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“	შპს „Archi DS“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5	მის: ქ. თბილისი,
სახელმწიფო ხაზინა	იყალთოს მთა კორპუსი 1
კოდი: 220101222	ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
ა/ა # 200122900	კოდი: MIBGGE22
ს/კოდი: 204562311	ა/ა # GE11PC0513600100001110
	ს/კოდი: 404883685
გენერალური დირექტორი	დირექტორი
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	დავით სვანიძე

იმერეთის რეგიონში, უბისის მონასტრის ტურისტული და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისა და მონასტრის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო მომსახურეობა

- **ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები**

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. კონკურსის შედეგად მიღებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განხორციელებული სამუშაოები ხელს შეუწყობს უბისის მონასტრის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ძეგლის მუდმივი მოვლა პატრონობის რეგულირებას, ტურისტების, მომლოცველთა, მკვლევარ-მეცნიერთა მომსახურების პირობების სრულყოფას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმების პერსპექტივას.

- **ძირითადი პირობები**

საპროექტო სამუშაოების შემსრულებელი შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოების ჩამონათვალის შესაბამისად, წარუდგენს მას კონკურსით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციას. იგი ვალდებულია გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებას.

- **ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელია:**

- მონასტრის უნიკალურობიდან გამომდინარე საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტის მოცულობის დაგეგმარებისას სივრცის აქტიური გამოყენება არსებული გარემოს მაქსიმალური შენარჩუნებით;
- ავტოპარკინგის მოწყობა 3 ავტობუსისა და 10 მსუბუქი ავტომანქანისთვის (ავტოპარკინგის ტერიტორიის პერიმეტრისა და ვერტიკალური ნიშნულების კორექტირება, საფარზე ალტერნატიული მდგრადი მასალის გამოყენება);
- საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტი, რომელიც Uუნდა განთავსდეს შერჩეულ ტერიტორაზე. საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტის შემადგენლობა შემდეგია:
  - სუვენირების, წიგნებისა და საეკლესიო ნივთების დახლი;
  - მოსასვენებელი ტერასა წყაროთი;
  - საზოგადოებრივი სანკვანძები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის;
  - ღია ტერასებზე გასატანი მაგიდებისა და სკამების შესანახი სათავსო.
- საფეხმავლო ბილიკის მოწყობა მთავარი გზის გადმოსახვევიდან ტაძრამდე, ადგილობრივი ქვის მასალით;
- შეზღუდული შესაძლებლობების პირების გადაადგილებისთვის შესაბამისი ელემენტების მოწყობა;
- მონასტრის სამხრეთით არსებული ბადე-ღობის ნაცვლად ყორე ქვის გალავნის მოწყობა;
- მონასტრის საცხოვრებელი სახლის სამხრეთით გალავნის მოწყობა ყორე ქვით;
- მონასტრის საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლა კრამიტის სახურავით;
- მონასტრის ეზოში არსებული სასაფლაოს მოწესრიგება.

- ძეგლზე ჩასატარებელი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები:
- ეკლესიის პერიმეტრზე ზემირკვლის (ცოკოლის) დაზიანებული წყობების რესტავრაცია;
- კოშკში ასასვლელი კიბის მოწყობა;
- კოშკში შესასვლელი კარის გამოცვლა;
- ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ მინაშენის კირქვის ფასადის ახალი შირიმის ქვით შეცვლა.

საპროექტო საზოგადოებრივი ობიექტი უნდა იყოს ესთეტიურად დახვეწილი და მაქსიმალურად ინტეგრირებული ბუნებრივ ლანდშაფტთან, იგი ხელს არ უნდა უშლიდეს ძეგლის ვიზუალურ აღქმას ხედვის ნებისმიერი წერტილიდან.

- შემსყიდველისთვის საბოლოოდ ჩასაბარებელი დოკუმენტაცია განისაზღვრება დოკუმენტაციის შემდეგი შემადგენლობით:
- განმარტებითი ბარათი;
- სიტუაციური გეგმა, მ. 1:2000 ან 1:1000;

- საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა მ. 1:200;
- ტერიტორიის გენერალური გეგმა მ. 1:200;
- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;
- ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი მ. 1:200;
- არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები (მ. 1:100, 1:50);
- მცირე არქიტექტურული ფორმების (ბანერი, მანიშნები, სკამები, ურნები, სანათი მოწყობილობები, ღობეები და სხვ.) სამუშაო ნახაზები (მ. 1:25, 1:20);
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- წარმოდგენილი მოსაპირკეთებელი სამუშაოების უწყისები, იატაკების და კარ-ფანჯრების სპეციფიკაციები;
- საინჟინრო კომუნიკაციების (გარე განათება, შიდა ელ.ქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება და გათბობა, ვენტილაცია, კონდიცირება) პროექტები;
- სუსტდენიანი სისტემების (ინტერნეტი, დაცვის სიგნალიზაცია) პროექტი;
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
- ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
- რენდერები და ფოტომონტაჟი.

  - მონასტერზე ჩასატარებელი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

    - საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტომასალა;
    - ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და მოცულობები;

❖ **საბოლოოდ წარმოდგენილი პროექტის განმარტებით ბარათში:**

- მოკლედ უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო გაანგარიშებები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.), მოცემული უნდა იყოს სარეაბილიტაციო ობიექტის ძირითადი პარამეტრები, გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით, გარემოსდაცვითი ნაწილი.
- მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები და გაანგარიშებების მეთოდები.
- ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს სამშენებლო სამუშაოების შემსრულებლებისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისათვის, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.
- პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.

❖ **პროექტს თან უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია.**

❖ საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ ფორმატში.

❖ შემსყიდველი იტოვებს უფლებას საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დააზუსტოს ისეთი ტექნიკური პირობები, რომლებიც არ გამოიწვევენ სამუშაოების მოცულობათა და შინაარსის მნიშვნელოვან ცვლილებებს. აგრეთვე, შემსყიდველი იტოვებს უფლებას საკონკურსო დავალებისა და საკონკურსო წინადადების საფუძველზე დააზუსტოს მოთხოვნები მისაღები (დასამუშავებელი) პროდუქციის მიმართ.

❖ შემსყიდველისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია წარმოდგენილი უნდა ქართულ და ინგლისურ ენებზე იყოს შემდეგი ფორმით:

- მყარი ასლები _ ალბომი 6 ეგზ;
- ელექტრონული ფორმატი _ ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG ან DXF PLN გაფართოების ფაილი ARCHICAD ან AutoCAD, და PDF ფაილი) კომპაქტური დისკების (CD) სახით;

სამუშაოების დასრულების ვადაა 2012 წლის 22 ივნისი.

შპს. " Archi DS "

ს/კ 404883685 ; ს/ს „პროკრედიტ ბანკის საქართველო-გამრეკელის განყოფილება" 220101922 ; ა/ნ GE11 PC05 1360 0100 0011 10
თბილისი, ჟუღლის მთა კორპუსი I ; svanidzedavit@yahoo.com ; T- 595 955 595, 599 178 595

უბისის მონასტრის ინფრასტრუქტურისა და რეაბილიტაციის პროექტი

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა შესყიდვების ეტაპზე (მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გარეშე);

გასაწევი მომსახურების ეტაპობრივი ჩაბარების ვადები და გეგმა-გრაფიკი (თანხების მითითებით) დაზუსტებული იქნება პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ღირებულება	1 ეტაპი		2 ეტაპი		ეტაპის ფასი		ჯამი
			ეტაპის დასაწყები	ეტაპის დასრულება	ეტაპის დასაწყები	ეტაპის დასრულება	ავანსად	დასრულებისას	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	I. შესყიდვების მეორე ეტაპი				12.06.2012				
						23.06.2012			
1	განმარტებითი ბარათი;	623					373.5	249	
2	ტერიტორიის ჰორიზონტალური გეგმა მ. 1:500;	1453					871.5	581	
3	გეოლოგიური კვლევა;	1038					622.5	415	
4	საინჟინრო კომუნიკაციებზე დამკვეთისგან განაცხადის და ტექნიკური პირობების მიღება;	623					373.5	249	
5	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი მ. 1:200;	1453					871.5	581	
6	ინფრასტრუქტურის ობიექტების არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები (მ. 1:100, 1:50);	3113					1867.5	1245	
7	მცირე არქიტექტურული ფორმების ცალკეული ობიექტების (ბარიერი, მანიშნები, სკამები, ურნები, სანათი მოწყობილობები და სხვ.) სამუშაო ნახაზები;	3113					1867.5	1245	
8	კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები;	2075					1245	830	
9	საინჟინრო კომუნიკაციების (გარე განათება, შიდა ელ.ქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება და გათბობა) ნახაზები, პროექტები;	1038					622.5	415	
10	სუსტდენიანი სისტემის პროექტი (ინტერნეტი);	619					371.6325	248	
11	ვერტიკალური გეგმარების პროექტი	623					373.5	249	
12	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;	830					498	332	
13	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;	1038					622.5	415	
14	საპრეზენტაციო მასალა (გეგმები, ფასადები, ჭრილები (მ. 1:50 ან 1:100), ფრაგმენტები, დეტალები (მ 1:25, 1:20), რენდერები და ფოტომონტაჟი.	3113					1867.5	1245	
							12448		
								8299	
	ჯამი :								20,747
15	რეაბილიტაციის პროექტი								1,133
	სულ ჯამი :								21,880

საპროექტო მომსახურების სრული ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს: - 21,880 ლარს.

დირექტორი: დ. სვანიძე

შპს "ARCHI DS" Archi DS 404883685 GEORGIA "ARCHI DS" LTD